გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 52

2025 წლის 11 აპრილი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებული 669 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში ფუნქციონირებდა კულტურის სახლი და შესაბამისად, გამოიყენებოდა მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესრულებისა და უფლებამოსილების განსახორციელებლად. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი იყო მითითებული შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2024 წლის მაისის თვეში შენობა-ნაგებობას გაუჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც იგი დაზიანდა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოხდა ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მომზადდა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ქ. გორში, სამეფოს ქ. №46-ში, სსიპ - „გორის მუნიციპალიტეტი"-ს საკუთრებაში არსებულ 669 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.45.25.025) განთავსებული კულტურის სახლის ტექნიკური მდგომარეობა მწვავე ავარიულია, შენობას დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით გააჩნია IV – V ხარისხის დაზიანებები, რის გამოც იგი საექსპლუატაციო ვარგისიანობით განეკუთვნება III კატეგორიას, რაც იმას ნიშნავს, რომ შენობა ექსპლუატაციისთვის უვარგისია და უეცარი ნგრევის საშიშროებიდან გამომდინარე საჭიროა უმოკლეს დროში განხორციელდეს მისი დემონტაჟი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა მიმართა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას აცნობა, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს (სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტო) ჩაბმას და ნებართვას გასცემს სამინისტროს (სააგენტოს) თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ქალაქ გორში, სამეფოს ქუჩა № 46-ში მდებარე შენობას (ს/კ 66.45.25.025) არა აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მაგრამ იგი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის („საზოგადოებრივი შენობა", გის №586, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 03/04/2008 წლის №3/36 ბრძანება) ფიზიკური დაცვის არეალში, სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით, ნებართვას გასცემს გორის მუნიციპალიტეტის მერია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებული 669 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობას დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად დაკარგული აქვს ფუნქციური დანიშნულება, აღარ გამოიყენება, როგორც ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება და მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მისი შეტანა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ზ" ქვეპუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ; 106-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება არის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელების საფუძველი. ძირითადი ქონების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად, ხოლო მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №527 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობებია ჩამოთვლილი, მათ შორის არის ასევე ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი, მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესრულებისა და უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 121-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე დასაბუთებულ წინადადებას ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარუდგენს შესაბამის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებული 669 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-

ნაგებობას დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად დაკარგული აქვს ფუნქციური დანიშნულება და აღარ გამოიყენება, როგორც ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და 121-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე, №66.45.25.025 საკადასტრო კოდით არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**